

სს „ლიბერთი ბანკს“ (ს/კ 203828304)
მის.: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #74

თავდები პირის:

სახელწოდება/სახელი და გვარი:	
საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი:	
<i>წარმომადგენელი (ხელმოწერი პირი):</i>	
სახელი და გვარი:	
პირადი ნომერი:	
წარმომადგენლის თანამდებობა:	

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

თანახმა ვარ(თ):

(ა) სოლიდარულად ვაგო(თ) პასუხი სს „ლიბერთი ბანკის“ წინაშე და ქვემოთმოცემული ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად თავდებად დავუდგე(თ) ამავე ხელშეკრულების არსებულ ან/და სამომავლო მოვალეებს;

(ბ) ხელშეკრულება, რომლის მხარეებსაც წარმოადგენენ არსებული ან/და სამომავლო მოვალეები და რომლის უზრუნველსაყოფადაც ვუდგები მას/მათ თავდებად შემდეგია:

ხელშეკრულების დასახელება:	
ხელშეკრულების ნომერი:	
ხელშეკრულების თარიღი:	

ვადასტურებ(თ), რომ ჩემთვის ცნობილია:

- რომ თავდების პასუხისმგებლობის მაქსიმალური თანხის ფარგლებში, რომელიც ამ ხელშეკრულების მიხედვით შეადგენს [თანხის ოდენობა და ვალუტა თანხობრივად და სიტყვიერად]-ს, კლიენტის მიერ საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის გადაუხდელობის და მისი უშედეგოდ გაფრთხილების შემთხვევაში, ან/და როცა მისი გადახდისუუნარობა აშკარაა ბანკს შეუძლია მოთხოვოს თავდებს ვალდებულების დაფარვა, კლიენტის მიმართ იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე;
- თუ რა სახის და მოცულობის მოთხოვნების უზრუნველსაყოფად ვკისრულობ(თ) თავდებობას და ეს განცხადება გაკეთებულია და ხელმოწერილია ჩემს/ჩვენს მიერ ნებაყოფლობით. განცხადებაზე ხელმოწერის და თავდებობის ხელშეკრულების დადების მიზნით სს „ლიბერთი ბანკის“, მოვალ(ებ)ის ან სხვა მესამე პირთა მხრიდან თავდების ან მისი ახლობლების მიმართ ადგილი არ ჰქონია იძულებას, მოტყუებას ან/და მუქარას, სს „ლიბერთი ბანკს“ არ გამოუყენებია ბოროტად ბანკის საბაზრო ძალაუფლება;
- რომ საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის გაცემა ხდება ძირითადი (გენერალური) ხელშეკრულების [ლიმიტის ოდენობა თანხობრივად და სიტყვიერად] ფარგლებში, რომელიც მოქმედია შემდეგი ვადით [ვადის მითითება]. ვითვალისწინებ, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ზემოაღნიშნული ლიმიტის ფარგლებში კლიენტზე დამატებით საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის გაცემის შემთხვევაში, საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის გაცემაზე თავდების დამატებითი თანხმობა არ იქნება საჭირო და წინამდებარე თავდებობა/ქონების უზრუნველყოფის მოცულობა გავრცელდება ძირითადი (გენერალური) ხელშეკრულების უზრუნველყოფის ფარგლებში გაცემულ ყველა საკრედიტო პროდუქტზე; [ეს პირობა საჭიროა თუ თავდებობა უზრუნველყოფს გენერალური საკრედიტო ხაზს]

თავდების ხელმოწერა/ხელმოწერები

[წელი] წლის [რიცხვი, თვე]

თავდებობის ხელშეკრულება

ქ.თბილისი, საქართველო

[წელი] წლის [რიცხვი, თვე]

1.	თავდებობის ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ:	
1.1.	ბანკი:	
1.1.1.	საფირმო სახელწოდება:	სს "ლიბერთი ბანკი"
1.1.2.	საიდენტიფიკაციო ნომერი:	203828304
1.1.3.	მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №74
1.1.4.	ტელეფონი:	
1.1.5.	ელ-ფოსტა:	
1.1.6.	წარმომადგენლის სახელი და გვარი:	
1.1.7.	პირადი ნომერი	
1.1.8.	წარმომადგენლის თანამდებობა:	

1.2.	თავდები:	
1.2.1.	სახელწოდება/სახელი და გვარი:	
1.2.2.	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი:	
1.2.3.	მისამართი:	
1.2.4.	ტელეფონი:	
1.2.5.	ელ-ფოსტა:	
1.2.6.	წარმომადგენლის სახელი და გვარი:	
1.2.7.	პირადი ნომერი	
1.2.8.	წარმომადგენლის თანამდებობა:	

2. თავდებობის ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე თავდებობის ხელშეკრულების და თავდებობის ხელშეკრულების ძირითადი პირობების (რომელიც განთავსებულია ბანკის ვებგვერდზე: <https://libertybank.ge/ka/agreements/tavdebobis-xelshekrulebis-dziritadi-priobebi>) საფუძველზე და მისი პირობების შესაბამისად, თავდები ბანკის წინაშე თავდებად უდგება ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებულ მოვალე(ებ)ს და იღებს სოლიდარულ ვალდებულებას უზრუნველყოფილი მოთხოვნიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების მიზნით, უპირობოდ დააკმაყოფილოს არსებული მოვალე(ებ)ის მიმართ ბანკის მოთხოვნები (უზრუნველყოფილი მოთხოვნა).

2.2. ძირითადი ხელშეკრულების აღწერილობა მოცემულია თავდებობის ხელშეკრულების 3.1. პუნქტში.

2.3. წინამდებარე თავდებობის ხელშეკრულებაზე სრულად ვრცელდება თავდებობის ხელშეკრულების ძირითადი პირობები (თუ თავდებობის ხელშეკრულებით ან/და მის ფარგლებში დადებული რომელიმე გარიგებით პირდაპირ არ არის გამორიცხული რომელიმე პირობის მოქმედება), მათ შორის ტერმინთა განმარტებები, განცხადებები და გარანტიები, თავდებობის ზოგადი პირობები, უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების, კონფიდენციალურობის, ხელშეკრულების შეწყვეტის, დავების გადაწყვეტის, მხარეთა კომუნიკაციის პირობები და სხვა. ამასთან, თავდები ადასტურებს, რომ მისთვის (თავდებისთვის) სრულიად გასაგებია თავდებობის ხელშეკრულების ძირითადი პირობები და ეთანხმება მათ.

2.4. თავდები ადასტურებს, რომ ბანკმა სათანადოდ მიაწოდა მას (თავდებს) ინფორმაცია უზრუნველყოფილი მოთხოვნის შეუსრულებლობის სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებულ რისკებზე, მათ შორის ბანკის უფლებამოსილებაზე: (ა) მიაქციოს გადახდევინება თავდების ქონებაზე, მათ შორის ბანკმა განახორციელოს თავდების ქონების რეალიზაცია; (ბ) თავდების დამატებითი თანხმობის გარეშე ცალმხრივად ჩამოწეროს ბანკში არსებული თავდების ფულადი სახსრები (მათ შორის სადეპოზიტო ანგარიშებიდან); (გ) მიმართოს ბანკმა ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა (გ.ა) თავდების ნებისმიერი ქონების (მათ შორის, ანგარიშების, ასევე სადეპოზიტო ანგარიშების, ფულადი სახსრების) დაყადაღება, შეზღუდვების, აკრძალვების, უფლებრივი ტვირთის გავრცელება; ან/და (გ.ბ) თავდების მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების მოთხოვნა; ან/და (გ.გ) მოითხოვოს თავდების ქონების იძულებითი მართვა (სეკვესტრი).

3. უზრუნველყოფილი მოთხოვნა და დამატებითი პირობები

3.1. უზრუნველყოფილი მოთხოვნის აღწერა:

3.1.1.	ძირითადი ხელშეკრულების დასახელება:	
--------	------------------------------------	--

3.1.2.	ძირითადი ხელშეკრულების ნომერი:		
3.1.3.	ძირითადი ხელშეკრულების თარიღი:		
3.1.4.	არსებული ან/და სამომავლო მოვალ(ეები):		
3.1.5.	არსებული ან/და სამომავლო მოვალ(ეების) პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი:		
3.1.6.	უზრუნველყოფილი მოთხოვნის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა:		

3.2. ბანკის მოთხოვნა, რომელიც გამომდინარეობს ძირითადი ხელშეკრულებიდან (მათ შორის ძირითად ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)იდანაც), ასევე თავდებობის ხელშეკრულებიდან. უზრუნველყოფილი მოთხოვნა სრულად მოიცავს მოვალ(ეების) მიმართ არსებულ, მომავალში წარმოშობილ ან/და პირობით მოთხოვნებს, მათ შორის და არამართო ათვისებული კრედიტის ძირითად თანხას, საპროცენტო სარგებელს, საკომისიოებს, პირგასამტეხლოს, ზიანის/ზარალის ანაზღაურების თანხებს, აგრეთვე ხელშეკრულებ(ებ)ის შეწყვეტის, სასამართლოს/არბიტრაჟის, აღსრულების ან/და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ხარჯებს. უზრუნველყოფილი მოთხოვნას ასევე წარმოადგენს ბანკის ყველა მოთხოვნა (მათ შორის მოვალის მიერ ფაქტობრივად მიღებულ ან/და გამოყენებულ საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული) წარმოშობილი ძირითადი ხელშეკრულების ან/და მის ფარგლებში დადებული რომელიმე, რამდენიმე ან ყველა გარიგების შეწყვეტის (მათ შორის ბათილად ცნობის) შედეგად. უზრუნველყოფილი მოთხოვნას ასევე წარმოადგენს ბანკის ყველა მოთხოვნა (მათ შორის მოვალის მიერ ფაქტობრივად მიღებულ ან/და გამოყენებულ საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული) წარმოშობილი ძირითადი ხელშეკრულების ან/და მის ფარგლებში დადებული რომელიმე, რამდენიმე ან ყველა გარიგების შეწყვეტის (მათ შორის ბათილად ცნობის) შედეგად.

4. თავდებობის ხელშეკრულების ძირითადი პირობები

- 4.1. თავდების პასუხისმგებლობა შემოიფარგლება თავდებობის ხელშეკრულების 3.1.6. ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ოდენობის თანხის (ან მისი ექვივალენტის (ვალდებულების შესრულების (ერთიანად ან ნაწილ-ნაწილ) თარიღისათვის ბანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსით)) ფარგლებში.
- 4.2. ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს თავდებობის ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით დადგენილი ყველა მოქმედება თავდების ქონებაზე გადახდევინების მიქცევისათვის, მოვალის მიმართ იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე, თუ ადგილი აქვს:
 - 4.2.1. მოვალ(ეების) მიერ ძირითადი ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობას ან/და არაჯეროვან შესრულებას; ან/და
 - 4.2.2. მოვალის მიერ თანხის გადახდის ვადაგადაცილებას, რის თაობაზეც უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული ბანკის მიერ ან/და მოვალის აშკარა გადახდისუუნარობას (მათ შორის, ბანკის შეფასებით, საჭვოა მოვალის მიერ უზრუნველყოფილი მოთხოვნიდან გამომდინარე ვადადამდგარი რომელიმე ფულადი ვალდებულების შესრულება), ან/და ვალის ვადამდე გამოთხოვას ბანკის მიერ და მის გადაუხდელობას;
 - 4.2.3. თავდების მიერ თავდებობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას ან/და არაჯეროვან შესრულებას; ან/და
 - 4.2.4. კანონმდებლობით ან/და ძირითადი ხელშეკრულებით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებს.
- 4.3. ბანკი ვალდებულია თავდებობის ხელშეკრულების საფუძველზე თავდებისათვის მოთხოვნის წაყენებამდე (ან ამგვარ მოთხოვნაშივე) აცნობოს თავდებს 4.2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებ(ებ)ის დადგომის თაობაზე, ხოლო თავდების მოთხოვნის მიღების შემთხვევაში, მიაწოდოს მას ცნობები მოვალის ვალის მდგომარეობის შესახებ;
- 4.4. თავდები ბანკის წინაშე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, რაც გულისხმობს ბანკის სრულ უფლებამოსილებას მოვალის ვალდებულების დაფარვის მიზნით გადახდევინება განახორციელოს თავდების ნებისმიერი ქონების ან აქტივების ხარჯზე;
- 4.5. ბანკი უფლებამოსილია თავდების მიმართ ისარგებლოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებებით.
- 4.6. თავდები იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს ბანკს თავდების მიერ თავდებობის ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი) კანონმდებლობით ან/და თავდებობის ხელშეკრულებით დადგენილი წესით.
- 4.7. უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების (მათ შორის ზიანის/ზარალის დაფარვის მიზნით) მიზნით, თავდები აცხადებს თანხმობას ბანკის უფლებამოსილებაზე, უზრუნველყოფილი მოთხოვნის ვადის დადგომიდან ნებისმიერ დროს, ბანკმა საკუთარი შეხედულებისამებრ:
 - 4.7.1. განახორციელოს ბანკში თავდების ანგარიშზე არსებული თანხების სრული ან/და ნაწილობრივი ბლოკირება; ან/და

4.7.2. **ბანკში** არსებული **თავდების** ნებისმიერი **ანგარიშიდან** უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად კრედიტის თანხა ან/და კრედიტის თანხასთან დაკავშირებული გადასახდელი) და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულებების დასაფარად/შესამცირებლად. თუ გადასახდელი და **ანგარიშზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება, ასევე, უაქცეპტოდ ჩამოწეროს **თავდების ანგარიშიდან**.

4.8. **ბანკის** მიერ ერთი ან რამდენიმე (მაგრამ არა ყველა) **მოვალისთვის** ვალის პატიება არ ათავისუფლებს **თავდებს უზრუნველყოფილი მოთხოვნის** სრულად შესრულებისაგან.

4.9. **ბანკის** მიერ **უზრუნველყოფილი მოთხოვნის** ერთი ან რამდენიმე სხვა თავდები პირის გათავისუფლება **უზრუნველყოფილი მოთხოვნის** შესრულებისგან (გადახდისგან) არ ათავისუფლებს **თავდებს უზრუნველყოფილი მოთხოვნის** სრულად შესრულებისაგან.

4.10. **ბანკის** წინაშე **მოვალის** ვალდებულებ(ებ)ის შესრულების მიზნით **ბანკს** უფლება აქვს მოითხოვოს გადახდევინების მიქცევა **მოვალის** ნებისმიერ ქონებაზე იმის მიუხედავად უზრუნველყოფილია თუ არა **მოვალის** ვალდებულებები **უზრუნველყოფის საშუალებებით**. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, გადახდევინება პირველ რიგში მიაქციოს **მოვალის** იმ ქონებაზე, რომელიც არ წარმოადგენს **უზრუნველყოფის საშუალების** საგანს.

4.11. **თავდები** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** უფლებამოსილებაზე (ა) რამდენიმე ვადამოსული დავალიანების არსებობისას, **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს ვადამოსული დავალიანების გადასახდელის რიგითობა და თანმიმდევრობა და (ბ) **უზრუნველყოფილი მოთხოვნით** გათვალისწინებული ნებისმიერი გადასახდელის გადახდამდე, **ბანკში** არსებული წესების და პროცედურების გათვალისწინებით, უაქცეპტოდ დაბლოკოს **თავდების ბანკში** არსებული ნებისმიერი სახის **ანგარიში**.

4.12. **თავდებობის ხელშეკრულების** მოქმედების განმავლობაში **თავდები** უარს აცხადებს მის უფლებაზე:

4.12.1. წამოაყენოს **მოვალის** კუთვნილი შესაგებლები **ბანკის** მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

4.12.2. უარი თქვას **ბანკის** დაკმაყოფილებაზე, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა **მოვალეს** უფლება სადავო გახადოს ძირითადი **ხელშეკრულება** ან/და მის ფარგლებში დადებული რომელიმე გარიგება, რომელიც საფუძვლად უდევს მის ვალდებულებებს; და

4.12.3. ნებისმიერი მიზეზით მოითხოვოს თავდებობისგან გათავისუფლება;

4.13. თუ **თავდებობის ხელშეკრულების** ფარგლებში მიღებული თანხა არ არის საკმარისი **უზრუნველყოფილი მოთხოვნის** სრულად დასაფარად, **თავდები** იღებს ვალდებულებას **უზრუნველყოფილი მოთხოვნის** დაფარვის შედეგად **მოვალ(ებ)ის** მიმართ წარმოშობილი ფულადი ვალდებულების რეგრესის/სუბროგაციის წესით მოთხოვნა განახორციელოს, მხოლოდ მას შემდეგ, რაც სრულად იქნება დაკმაყოფილებული **ბანკის** წინაშე არსებული **უზრუნველყოფილი მოთხოვნისგან** გამომდინარე **მოვალ(ებ)ის** ფულადი ვალდებულებები.

4.14. **დაკავშირებული ხელშეკრულების მხარისთვის ინფორმაციის მიწოდება.** **თავდები** გამოხატავს თანხმობას და **ბანკს** ანიჭებს გამოუთხოვად უფლებამოსილებას, **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ გადასცეს ძირითადი **ხელშეკრულების** ნებისმიერ **მოვალეს** (თუ რამდენიმე **მოვალეა**), ასევე **დაკავშირებული ხელშეკრულების** მხარეს (იპოთეკის, გირავნობის, თავდებობის და ა.შ. ხელშეკრულების მხარეს): (ა) **თავდებობის ხელშეკრულება**, (ბ) **თავდებობის ხელშეკრულებასთან** დაკავშირებული დოკუმენტაცია (ბ) **თავდებობის ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ნებისმიერი ვალდებულების და ასევე შესრულებული ფულადი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია (მათ შორის **ანგარიშიდან** მიღებული ამონაწერის სახით). გაუგებრობის გამოსარიცხად, წინამდებარე პუნქტში აღნიშნული პირობა არ ზღუდავს **ბანკს** დაამუშაოს **კონფიდენციალური ინფორმაცია** (მათ შორის პერსონალური ინფორმაცია) და ისარგებლოს იმ უფლებებით, რაც განსაზღვრულია **თავდებობის ხელშეკრულების ძირითადი პირობებით**.

5. სხვა პირობები

5.1. **თავდებობის ხელშეკრულება** ძალაში შედის **მხარეთა** მიერ მისი დადების (**მხარეთა** ხელმოწერის ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული ელექტრონული არხების საშუალებით **მხარეთა** მიერ თანხმობის გაცხადების) დღიდან და მოქმედებს **უზრუნველყოფილი მოთხოვნის** სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

5.2. **მხარეთა** ნება **თავდებობის ხელშეკრულების** დადებაზე გამოვლენილად ჩაითვლება **თავდებობის ხელშეკრულებაზე**: (ა) ხელმოწერით ან (ბ) თანხმობის გამოხატვით (მათ შორის **ბანკის** მიერ განსაზღვრული ელექტრონული არხების საშუალებით, როგორცაა მაგალითისთვის ინტერნეტ ბანკინგი, მობაილ ბანკინგი, მოკლე ტექსტური შეტყობინება (SMS) მიღებით/გაგზავნით და სხვა). ასეთ თანხმობას ექნება მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერის ტოლფასი იურიდიული ძალა.

5.3. ბანკის ვებ-გვერდზე და ბანკის მონაცემთა ბაზებში (კომპიუტერულ პროგრამებში) დაცულ ინფორმაციას, ამ ინფორმაციის ბანკის მიერ დამზადებულ ელექტრონულ ასლებსა და ამონაბეჭდებს, რომლებიც დამოწმებულია ბანკის დირექტორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, აქვთ მტკიცებულებითი ძალა ძირითადი ხელშეკრულებით, ასევე თავდებობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებული ფაქტების არსებობა-არარსებობის დადასტურების მიზნებისთვის.

5.4. თუ თავდებმა თავდებობის ხელშეკრულება ბანკთან დადო მოვალის დავალების (რწმუნებულების ან სახელშეკრულებო ვალდებულების) საფუძველზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 904-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას თავდებმა თავდებობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან გათავისუფლების მიზნით უნდა მიმართოს მოვალეს. ასეთ შემთხვევაში, თავდებობის ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს მხოლოდ თუ უზრუნველყოფილი მოთხოვნიდან გამომდინარე ვალდებულებები სრულად და ჯეროვნად იქნება შესრულებული.

5.5. თავდებობის ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ ათავისუფლებს თავდებს თავდებობის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად დარჩენილი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან ამგვარი ვალდებულების იძულებითი ან ნებაცოფლობითი შესრულების მომენტამდე.

5.6. თავდებობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს ბანკის იურიდიული მისამართის მიხედვით. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1¹ ნაწილის საფუძველზე, დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ბანკის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

5.7. თუ თავდებობის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული ბანკის მოთხოვნა თავდების მიერ უნდა შესრულდეს მოთხოვნით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო ასეთის არ არსებობისას, ბანკის მოთხოვნიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

5.8. თავდები არ არის უფლებამოსილი ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე მესამე პირ(ებ)ს სრულად ან ნაწილობრივ დაუთმოს თავდებობის ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებები ან/და თავდებობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. თავის მხრივ, ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ მესამე პირს დაუთმოს თავდებობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნები ან/და უფლებები.

5.9. თავდებობის ხელშეკრულების ხელმოწერის შემთხვევაში, თავდებობის ხელშეკრულების თითო თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

6. მხარეთა ხელმოწერები

ბანკი

თავდები